

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №36
2014 წლის 31 დეკემბერი

დ. ჩხოროწყუ

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 23 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-80 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2551 განკარგულების შესაბამისად ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 23 დეკემბრის №24 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს ვებ-გვერდი, 27.12.2013; 190020020.35.107.016122) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. გადიდდეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის შემოსულობები, კერძოდ გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი 710.1 ათასი ლარით. (1312)

2. გადიდდეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გადასახდელები 710.1 ათასი ლარით:

ა) 44.0 ათასი ლარით გზების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით (03 01 01)

ბ) 169.8 ათასი ლარით სახიდე ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით (03 01 02)

გ) 44.2 ათასი ლარით სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით (03 02 09)

დ) 452.1 ათასი ლარით ნაპირსამაგრი სამუშაოების მოწყობა რეაბილიტაცია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით (03 03)

მუხლი 2

დამტკიცდეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

ა) ბიუჯეტის შემოსავლები – 8020.0 ათასი ლარით (აქედან, გადასახადები – 200.0 ათასი ლარი; გრანტები – 7560.0 ათასი ლარი; სხვა შემოსავლები – 260.0 ათასი ლარი)

ბ) ბიუჯეტის ხარჯები – 5080.2 ათასი ლარი (აქედან, შრომის ანაზღაურება – 1652.1 ათასი ლარით; საქონელი და მომსახურება – 843.8 ათასი ლარით; სუბსიდიები – 1780.0 ათასი ლარით; სოციალური უზრუნველყოფა 544.5 ათასი ლარით; სხვა ხარჯები – 259.8 ათასი ლარით)

ბ) საოპერაციო სალდო – 2939.8 ათასი ლარი.

გ) არაფინანსური აქტივების ცვლილება – 2979.7 ათასი ლარი.

მუხლი 3

დამტკიცდეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება შემდეგი რედაქციით:

ა) შემოსულობები – 8020.0 ათასი ლარი (აქედან, შემოსავლები – 8020.0 ათასი ლარი;)



ბ) გადასახდელები – 8059.9 ათასი ლარი; (აქედან: ხარჯები – 5080.2 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა – 2979.7 ათასი ლარი)

გ) ნაშთის ცვლილება - 39.9 ათასი ლარი.

მუხლი 4

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციით განისაზღვროს 8059.9 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 2070.5 ათასი ლარით.

ბ) თავდაცვა – 113.3 ათასი ლარით.

გ) საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 292.9 ათასი ლარით.

დ) ეკონომიკური საქმიანობა -1927.6 ათასი ლარით.

ე) გარემოს დაცვა – 291.6 ათასი ლარით.

ვ) საბინაო-კომუნალური მეურნეობა– 832.1 ათასი ლარით.

ზ) ჯანმრთელობის დაცვა – 75.0 ათასი ლარით.

თ) დასვენება, კულტურა და რელიგია – 609.5 ათასი ლარით.

ი) განათლება – 1382.0 ათასი ლარით.

კ) სოციალური დაცვა – 465.5 ათასი ლარით.

მუხლი 5

სულ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი როგორც შემოსულობები, ისე გადასახდელები ნაშთის ცვლილების გათვალისწინებით განისაზღვროს 8059.9 ათასი ლარით.

მუხლი 6

დადგენილების თავი I, თავი II და თავი III ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

მუხლი 7

1. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის 30 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ესებუა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

თავი I

მუხლი 1. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა			2014 წლის პროგნოზი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	6,745.1	3,144.0	3,601.1	8,033.1	4,098.0	3,935.1	8,020.0	3,140.1	4,879.9



გადასახადები	201.5	0.0	201.5	230.0	0.0	230.0	200.0	0.0	200.0
გრანტები	6,357.0	3,144.0	3,213.0	7,583.1	4,098.0	3,485.1	7,560.0	3,140.1	4,419.9
სხვა შემოსავლები	186.6	0.0	186.6	220.0	0.0	220.0	260.0	0.0	260.0
ხარჯები	3,626.9	75.5	3,551.4	4,005.3	296.7	3,708.6	5,080.2	387.3	4,692.9
შრომის ანაზღაურება	1,135.6	0.0	1,135.6	1,538.9	0.0	1,538.9	1,652.1	0.0	1,652.1
საქონელი და მომსახურება	454.5	2.6	451.9	595.5	0.0	595.5	843.8	0.0	843.8
სუბსიდიები	1,011.1	0.0	1,011.1	1,236.5	90.0	1,146.5	1,780.0	87.5	1,692.5
გრანტები	590.0	0.0	590.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	374.0	60.0	314.0	403.2	35.0	368.2	544.5	109.5	435.0
სხვა ხარჯები	61.7	12.9	48.8	231.2	171.7	59.5	259.8	190.3	69.5
საოპერაციო საღდო	3,118.2	3,068.5	49.7	4,027.8	3,801.3	226.5	2,939.8	2,752.8	187.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3,420.4	3,126.0	294.4	4,030.2	3,803.7	226.5	2,979.7	2,768.9	210.8
ზრდა	3,509.8	3,126.0	383.8	4,130.2	3,803.7	326.5	2,979.7	2,768.9	210.8
კლება	89.4	0.0	89.4	100.0	0.0	100.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0			0.0		0.0	0.0		
კლება	302.2	57.5	244.7	2.4	2.4	0.0	39.9	16.1	23.8
ვალუტა და დეპოზიტები	302.2	57.5	244.7	2.4	2.4		39.9	16.1	23.8
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა			2014 წლის ბიუჯეტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	6,834.5	3,144.0	3,690.5	8,133.1	4,098.0	4,035.1	8,020.0	3,140.1	4,879.9
შემოსავლები	6,745.1	3,144.0	3,601.1	8,033.1	4,098.0	3,935.1	8,020.0	3,140.1	4,879.9
არაფინანსური აქტივების კლება	89.4	0.0	89.4	100.0	0.0	100.0	0.0	0.0	0.0



გადასახდელები	7,136.7	3,201.5	3,935.2	8,135.5	4,100.4	4,035.1	8,059.9	3,156.2	4,903.7
ხარჯები	3,626.9	75.5	3,551.4	4,005.3	296.7	3,708.6	5,080.2	387.3	4,692.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,509.8	3,126.0	383.8	4,130.2	3,803.7	326.5	2,979.7	2,768.9	210.8
ნაშთის ცვლილება	-302.2	-57.5	-244.7	-2.4	-2.4	0.0	-39.9	-16.1	-23.8

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 8020.0 ათასი ლარით:

დასახელება	კოდი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა			2014 წლის ბიუჯეტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	1	6,745.1	3,144.0	3,601.1	8,033.1	4,098.0	3,935.1	8,020.0	3,140.1	4,879.9
გადასახადები	11	201.5	0.0	201.5	230.0	0.0	230.0	200.0	0.0	200.0
გრანტები	13	6,357.0	3,144.0	3,213.0	7,583.1	4,098.0	3,485.1	7,560.0	3,140.1	4,419.9
სხვა შემოსავლები	14	186.6	0.0	186.6	220.0	0.0	220.0	260.0	0.0	260.0

მუხლი 4. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 200.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა			2014 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	201.5	0.0	201.5	230.0	0.0	230.0	200.0	0.0	200.0
ქონების გადასახადი	113	201.5	0.0	201.5	230.0	0.0	230.0	200.0	0.0	200.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	158.0		158.0	197.0		197.0	150.0		150.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	1.3	0.0	1.3	3.0	0.0	3.0	3.0	0.0	3.0
სასოფლო-სამეურნეო										



დანიშნულების მიწაზე	113114	23.6	0.0	23.6	15.0	0.0	15.0	32.0	0.0	32.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	18.6	0.0	18.6	15.0	0.0	15.0	15.0	0.0	15.0

მუხლი 5. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7560.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა			2014 წლის ბიუჯეტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	6,357.0	3,144.0	3,213.0	7,583.1	4,098.0	3,485.1	7,560.0	3,140.1	4,419.9
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	131	0.0			0.0			0.0		
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	0.0			0.0			0.0		
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	6,357.0	3,144.0	3,213.0	7,583.1	4,098.0	3,485.1	7,560.0	3,140.1	4,419.9
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	3,613.0	400.0	3,213.0	3,485.1	0.0	3,485.1	4,419.9	0.0	4,419.9
გათანაბრებითი ტრანსფერი		3,060.0		3,060.0	3,330.1		3,330.1	4,257.9		4,257.9
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		153.0		153.0	155.0		155.0	162.0		162.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		400.0	400.0		0.0			0.0		
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	2,744.0	2,744.0	0.0	4,098.0	4,098.0	0.0	3,140.1	3,140.1	0.0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		1,750.0	1,750.0		3,461.4	3,461.4		1,340.7	1,340.7	



სოფლის მზარდაჭერის პროგრამა		634.9	634.9		636.6	636.6		589.2	589.2	
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი		294.1	294.1		0.0			0.0		
მთავრობის სარეზერვო ფონდი		0.0			0.0			87.5	87.5	
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი		65.0	65.0		0.0			1,122.7	1,122.7	

მუხლი 6. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 260.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა			2014 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	186.6	0.0	186.6	220.0	0.0	220.0	230.0	0.0	230.0
შემოსავლები საკუთრებიდან	141	124.5	0.0	124.5	166.0	0.0	166.0	165.0	0.0	165.0
რენტა	1415	124.5	0.0	124.5	166.0	0.0	166.0	165.0	0.0	165.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	124.5		124.5	166.0		166.0	165.0		165.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	0.7	0.0	0.7	14.0	0.0	14.0	15.0	0.0	15.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	0.5	0.0	0.5	9.0	0.0	9.0	15.0	0.0	15.0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	0.3		0.3	4.0		4.0	4.0		4.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0.2		0.2	0.0			0.0		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	0.0			5.0		5.0	11.0		11.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	0.2	0.0	0.2	5.0	0.0	5.0	0.0	0.0	0.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	0.2		0.2	5.0		5.0	0.0		0.0



ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	36.9		36.9	40.0		40.0	50.0		50.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	24.5		24.5	0.0			0.0		30.0
არაფინანსური აქტივების კლება	31	89.4	0.0	89.4	100.0	0.0	100.0	0.0	0.0	0.0
ძირითადი აქტივები	311	1.9		1.9	20.0		20.0	0.0		0.0
არაწარმოებული აქტივები	314	87.5	0.0	87.5	80.0	0.0	80.0	0.0	0.0	0.0
მიწა	3141	87.5		87.5	80.0		80.0	0.0		0.0

მუხლი 7. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5080.2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული

დასახელება	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა			2014 წლის ბიუჯეტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	7,136.7	3,201.5	3,935.2	8,135.5	4,100.4	4,035.1	7,349.8	2,446.1	4,903.7
მომუშავეთა რიცხოვნობა	170.0	0.0	170.0	215.0	0.0	215.0	216.0	0.0	216.0
ხარჯები	3,626.9	75.5	3,551.4	4,005.3	296.7	3,708.6	5,080.2	387.3	4,692.9
შრომის ანაზღაურება	1,135.6	0.0	1,135.6	1,538.9	0.0	1,538.9	1,652.1	0.0	1,652.1
საქონელი და მომსახურება	454.5	2.6	451.9	595.5	0.0	595.5	843.8	0.0	843.8
სუბსიდიები	1,011.1	0.0	1,011.1	1,236.5	90.0	1,146.5	1,780.0	87.5	1,692.5
გრანტები	590.0	0.0	590.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	374.0	60.0	314.0	403.2	35.0	368.2	544.5	109.5	435.0
სხვა ხარჯები	61.7	12.9	48.8	231.2	171.7	59.5	259.8	190.3	69.5

მუხლი 8. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 2979.7 ათასი



ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 2979.7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა			2014 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	7,136.7	3,201.5	3,935.2	8,135.5	4,100.4	4,035.1	8,059.9	3,156.2	4,903.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,509.8	3,126.0	383.8	4,130.2	3,803.7	326.5	2,979.7	2,768.9	210.8
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1,968.6	2.6	1,966.0	1,950.8	0.0	1,950.8	2,070.5	0.0	2,070.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	105.0	0.0	105.0	187.8	0.0	187.8	92.8	0.0	92.8
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	244.4	0.0	244.4	431.6	0.0	431.6	527.5	0.0	527.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.6	0.0	0.6	9.2	0.0	9.2	10.1	0.0	10.1
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	1,114.2	2.6	1,111.6	1,453.2	0.0	1,453.2	1,537.0	0.0	1,537.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	104.4	0.0	104.4	178.6	0.0	178.6	82.7	0.0	82.7
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	315.5	0.0	315.5	341.3	0.0	341.3	406.2	0.0	406.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	24.0	0.0	24.0	17.4	0.0	17.4	7.0	0.0	7.0
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	214.1	0.0	214.1	256.3	0.0	256.3	292.9	0.0	292.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	24.0	0.0	24.0	15.3	0.0	15.3	1.0	0.0	1.0
02 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	69.6	0.0	69.6	85.0	0.0	85.0	113.3	0.0	113.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	2.1	0.0	2.1	6.0	0.0	6.0



03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3,480.0	2,938.9	541.1	4,406.7	3,975.4	431.3	3,081.2	2,459.7	621.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,159.5	2,926.0	233.5	3,900.0	3,803.7	96.3	2,323.4	2,269.4	54.0
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)	1,698.3	1,550.1	148.2	1,175.7	1,172.2	3.5	621.4	551.4	70.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,698.3	1,550.1	148.2	1,175.7	1,172.2	3.5	551.4	551.4	0.0
03 01 01	მუნიციპალიტეტის გზების მოწყობა რეაბილიტაცია	1,294.1	1,150.7	143.4	383.0	379.5	3.5	191.8	134.2	57.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,294.1	1,150.7	143.4	383.0	379.5	3.5	134.2	134.2	0.0
03 01 02	სახიდე ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია	404.2	399.4	4.8	792.7	792.7	0.0	429.6	417.2	12.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	404.2	399.4	4.8	792.7	792.7	0.0	417.2	417.2	0.0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	943.8	575.6	368.2	680.0	302.2	377.8	1,159.6	678.1	481.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	636.2	575.6	60.6	345.0	302.2	42.8	703.9	659.9	44.0
03 02 01	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	259.3	203.1	56.2	190.0	100.0	90.0	125.0	0.0	125.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	203.1	203.1	0.0	100.0	100.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	114.4	99.4	15.0	235.0	202.2	32.8	482.0	434.5	47.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	99.7	99.4	0.3	215.0	202.2	12.8	454.5	434.5	20.0
03 02 04	ტროტუარებისა და გაზონების მოწყობა-რეაბილიტაცია	127.2	108.0	19.2	30.0	0.0	30.0	35.9	11.9	24.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	127.2	108.0	19.2	30.0	0.0	30.0	35.9	11.9	24.0
03 02 05	დ. ჩხოროწყუს ობელისკის რეაბილიტაცია. სკვერისა და პარკის მოწყობა საზაფხუო	37.4	0.0	37.4	0.0	0.0	0.0	141.9	141.9	0.0



	ატრაქციონებით									
	არაფინანსური აქტივების ზრდა	37.4	0.0	37.4	0.0	0.0	0.0	141.9	141.9	0.0
03 02 09	სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	168.8	165.1	3.7	0.0	0.0	0.0	71.6	71.6	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	168.8	165.1	3.7	0.0	0.0	0.0	71.6	71.6	0.0
03 03	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი გეობირების მშენებლობა- რეაბილიტაცია	126.8	124.1	2.7	1,880.0	1,830.0	50.0	560.2	560.2	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	126.8	124.1	2.7	1,880.0	1,830.0	50.0	560.2	560.2	0.0
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	711.1	689.1	22.0	639.0	639.0	0.0	613.0	613.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	698.2	676.2	22.0	467.3	467.3	0.0	440.9	440.9	0.0
03 05	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო- სახარჯთაღირცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები	0.0	0.0	0.0	32.0	32.0	0.0	67.1	57.1	10.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	32.0	32.0	0.0	67.1	57.1	10.0
04 00	განათლება	367.8	0.0	367.8	509.0	90.0	419.0	1,382.0	587.0	795.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	551.5	499.5	52.0
04 01	სკოლამდელი განათლება	359.0	0.0	359.0	462.0	90.0	372.0	1,301.7	581.7	720.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	551.5	499.5	52.0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	630.8	200.0	430.8	532.0	0.0	532.0	609.5	0.0	609.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	221.3	200.0	21.3	25.0	0.0	25.0	5.0	0.0	5.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	167.6	0.0	167.6	240.0	0.0	240.0	266.0	0.0	266.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	21.3	0.0	21.3	25.0	0.0	25.0	5.0	0.0	5.0



05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება. მოედნების რეკონსტრუქცია	50.6	0.0	50.6	120.0	0.0	120.0	96.0	0.0	96.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	21.3	0.0	21.3	25.0	0.0	25.0	5.0	0.0	5.0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200.0	200.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	200.0	200.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 9. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა			2014 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,968.6	2.6	1,966.0	1,950.8	0.0	1,950.8	2,070.5	0.0	2,070.5
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,358.6	2.6	1,356.0	1,930.8	0.0	1,930.8	2,070.5	0.0	2,070.5
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,358.6	2.6	1,356.0	1,884.8	0.0	1,884.8	2,064.5	0.0	2,064.5
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	46.0	0.0	46.0	6.0	0.0	6.0
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	590.0	0.0	590.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	69.6	0.0	69.6	85.0	0.0	85.0	113.3	0.0	113.3
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	245.9	0.0	245.9	256.3	0.0	256.3	292.9	0.0	292.9
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	31.8	0.0	31.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	214.1	0.0	214.1	256.3	0.0	256.3	292.9	0.0	292.9
7033	სასამართლოები და პროკურატურა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7034	სასჯელაღსრულების დაწესებულებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2,663.4	2,471.3	192.1	3,756.7	3,673.2	83.5	1,927.6	1,793.6	134.0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	837.9	813.2	24.7	2,551.0	2,501.0	50.0	1,270.3	1,230.3	40.0
70421	სოფლის მეურნეობა	837.9	813.2	24.7	2,551.0	2,501.0	50.0	1,270.3	1,230.3	40.0
7045	ტრანსპორტი	1,698.3	1,550.1	148.2	1,175.7	1,172.2	3.5	621.4	551.4	70.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,698.3	1,550.1	148.2	1,175.7	1,172.2	3.5	621.4	551.4	70.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	127.2	108.0	19.2	30.0	0.0	30.0	35.9	11.9	24.0
705	გარემოს დაცვა	356.1	165.1	191.0	192.0	0.0	192.0	291.6	71.6	220.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	187.3	0.0	187.3	192.0	0.0	192.0	220.0	0.0	220.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	168.8	165.1	3.7	0.0	0.0	0.0	71.6	71.6	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	460.5	302.5	158.0	458.0	302.2	155.8	832.1	594.6	237.5
7061	ბინათმშენებლობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



7063	წყალმომარაგება	114.4	99.4	15.0	235.0	202.2	32.8	482.0	434.5	47.5
7064	გარე განათება	259.3	203.1	56.2	190.0	100.0	90.0	125.0	0.0	125.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	86.8	0.0	86.8	33.0	0.0	33.0	225.1	160.1	65.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	60.0	0.0	60.0	67.0	0.0	67.0	75.0	0.0	75.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	60.0	0.0	60.0	67.0	0.0	67.0	75.0	0.0	75.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	630.8	200.0	430.8	532.0	0.0	532.0	609.5	0.0	609.5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	167.6	0.0	167.6	240.0	0.0	240.0	266.0	0.0	266.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	221.0	0.0	221.0	272.0	0.0	272.0	331.5	0.0	331.5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	242.2	200.0	42.2	20.0	0.0	20.0	12.0	0.0	12.0
709	განათლება	367.8	0.0	367.8	509.0	90.0	419.0	1,382.0	587.0	795.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	359.0	0.0	359.0	462.0	90.0	372.0	1,301.7	581.7	720.0
7092	ზოგადი განათლება	8.8	0.0	8.8	15.0	0.0	15.0	15.0	0.0	15.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	8.8	0.0	8.8	15.0	0.0	15.0	15.0	0.0	15.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0.0	0.0	0.0	32.0	0.0	32.0	65.3	5.3	60.0
710	სოციალური დაცვა	314.0	60.0	254.0	328.7	35.0	293.7	465.5	109.5	356.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	265.1	60.0	205.1	272.7	35.0	237.7	425.5	109.5	316.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	45.0	0.0	45.0	50.0	0.0	50.0	34.0	0.0	34.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	3.9	0.0	3.9	6.0	0.0	6.0	6.0	0.0	6.0
	სულ	7,136.7	3,201.5	3,935.2	8,135.5	4,100.4	4,035.1	8,059.9	3,156.2	4,903.7



მუხლი 10. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -39.9 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -39.9 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 39.9 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0 ლარის

მუხლი 13. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 80.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 162.0 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 65.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 92.0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5.0 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის,

მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

მუხლი 16. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენადაუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული ღონისძიებების ამაღლება.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.



პროგრამ. კოდი და სახელი	2014 წლის გეგმა	2015 წლის პროგნოზი	2016 წლის პროგნოზი	2017 წლის პროგნოზი	
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	412.1	432.7	454.4	477.1
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	300.0	315.0	330.8	347.3
02 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	112.1	117.7	123.6	129.8

ა) პროგრამა საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა არსებული ტექნიკური ბაზის განახლება და საჭირო სამაშველო და სახანძრო ტექნიკის აღჭურვილობის შეძენა, მეხანძრე-მაშველთათვის სოციალური პირობების გაუმჯობესება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა. სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების ლოკალიზაცია და მათი შედეგების ლიკვიდაცია. ზარალის მინიმიზაცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გამოძახების რაოდენობა. დროულად ლოკალიზებული და ლიკვიდირებული შემთხვევების რაოდენობა.

ბ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული გეგმის მაქსიმალური შესრულება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაწვეულთა რაოდენობა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)



ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პროგრამების ფარგლებში გაგრძელდება დაბა ჩხოროწყუს საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამ. კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	2015 წლის პროგნოზი	2016 წლის პროგნოზი	2017 წლის პროგნოზი
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2046.9	693.0	727.6	764.0
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და მოვლა–შენახვა	187.1	73.5	77.2	81.0
03 01 01	გზების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	57.6	52.5	55.1	57.9
03 01 02	სახიდე ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია	129.5	21.0	22.1	23.2
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1126.4	514.5	540.2	567.2
03 02 01	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	125.0	131.2	137.8	144.7
03 02 02	დასუფთავების ღონისძიებები	220.0	231.0	242.6	254.7
03 02 03	წყლის სისტემების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	484.4	52.5	55.1	57.9
03 02 04	ტროტუარებისა და გაზონების მოწყობა-რეაბილიტაცია	41.9	31.5	33.0	34.7
03 02 05	სკვერებისა და პარკების მოწყობა საბავშვო ატრაქციონით	141.9			
03 02 06	უმეტესწლოვან დარჩენილი ცხოველების იზოლაცია	5.0	5.3	5.5	5.8
03 02 07	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების და სხვა არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია	48.2	31.5	33.0	34.7
03 02 08	მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია	30.0	31.5	33.0	34.7
03 03	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	38.2	31.5	33.0	34.7
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	613.0			
03 05	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპლუატაციის ხარჯები	22.1	42.0	44.1	46.3
03 06	მუნიციპალიტეტის მიწათმოწყობის გენერალური გეგმის შედგენა	30.0	0	0	0

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში შიდა გზების, სახიდე ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია, როგორც დაბაში ისე სოფლებში და თემებში.

ა.ა) გზების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 01 01)

მუნიციპალიტეტის შიდა გზების აღდგენა, მოწყობა-რეაბილიტაცია. ხაზუმის და ლეწურწუმეს თემში გარდამავალი სარეაბილიტაცია სამუშაოების დასრულება.



მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული გზების რაოდენობის ზრდა.

ა.ბ) სახიდე ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 02)

დაზიანებული ხიდების, ხიდ-ბოგირების, საცალფეხო ხიდების რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის სოფლებსა და თემებში. სოფ. თაიაში და ხაბუმის თემში გარდამავალი მშენებლობების დასრულება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული სახიდე ნაგებობების რაოდენობის ზრდა.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება დ. ჩხოროწყუში დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

ბ.ა) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე ახალი სანათი წერტილების მოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- განათებული მუნიციპალიტეტი.



შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ექსპლუატაციაში არსებული სანათი წერტილების ზრდა.

ბ.ბ) დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია დაბა ჩხოროწყეში ქუჩების ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.

ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

მოსალოდნელი შედეგები:

- დაბის ტერიტორიაზე გაუმჯობესებული სანიტარული პირობები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გატანილი ნარჩენების რაოდენობა.

ბ.გ) წყლის სისტემის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

სასმელი წყლის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს წყლის სისტემის მოწესრიგებას, მის დაცულობას. მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის, ბაქტერიებისაგან გაწმენდილი წყლის მიწოდებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობაზე წყლის მიწოდების ზრდა.

ბ.დ) ტროტუარებისა და გაზონების მოწყობა–რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება არსებული ტროტუარების რეაბილიტაცია, მოწყობა გაზონები. დაბა ჩხოროწყეში წინა წლიდან გადმომავალი სამუშაოების დასრულება.



მოსალოდნელი შედეგები:

- მოვლილიტროტუარები, გამწვანებული სკვერები და გაზონები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა.

ბ.ე) სკვერისა და პარკის მოწყობა საბავშვო ატრაქციონებით (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაბა ჩხოროწყუში ცენტრალურ პარკში მოეწყობა საბავშვო ატრაქციონი, კულტურის სარაიონო სახლის გვერდით მოეწყობა ახალი სკვერი და აშენდება ჩოგბურთის კორტი.

მოსალოდნელი შედეგები:

- კეთილმოწყობილი დაბა ჩხოროწყუს ცენტრი

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი ობიექტების რაოდენობა.

ბ.ვ) უმეტველყოფოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 02 06)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მაწანწალა ცხოველების რაოდენობის შემცირება.

ბ.ზ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების და სხვა არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)



მუნიციპალიტეტის საკუთრებაში საკმაოდ ბევრი არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებია, რომლებიც ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული დატვირთვის მატარებელია. შენობების ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე მიმდინარე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქვეპროგრამის მიზანი ამ შემთხვევაში შენობების ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის შენარჩუნებაა, რა დროსაც არსებული სარემონტო სამუშაოებით ხდება უფრო მეტი დაზიანებებისა და შესაბამისად მეტი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის თავიდან აცილება. 2013 წლის 19-20 ნოემბერს სტიქიისაგან მიყენებული ზიანის ლიკვიდაცია.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობის მხარდაჭერა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აქტუალური პრობლემების მოგვარება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული შენობების რაოდენობა.

ბ.თ) მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 08)

ხშირად დგება დღის წესრიგში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქვეპროგრამის მიზანი ამ შემთხვევაში შენობების ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის შენარჩუნებაა.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული შენობების რაოდენობა.

გ) სარწყავი არხები და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა—რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და სოფლებში ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, მუნიციპალიტეტის სოფლებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასწვრივ ნაპირგამაგრებითი სამუშაოების ჩატარება. ნაფიჩხოვოს თემში წინა წლიდან დარდამავალი სამუშაოების შესრულება.

მოსალოდნელი შედეგები:

- წყალდიდობისგან ზარალის თავიდან აცილება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:



- მოწყობილი ობიექტების რაოდენობა.

დ) სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპლუატაციის ხარჯები. (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში შენობა-ნაგებობებზე და მიწაზე ზედამხედველობას, უზრუნველყოფს საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას. მუხურის თემში წყალმომარაგების სისტემის, დ. ჩხოროწყუმი საბავშვო ბათის, სკვერების, პარკებისა და საბავშვო ატრაქციონის მოწყობის საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო და ექსპერტიზის მომსახურება.

მოსალოდნელი შედეგები:

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე ზედამხედველობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ექსპლუატაციაში შესული ობიექტების რაოდენობა.

ე) მუნიციპალიტეტის მიწათმოწყობის გენერალური გეგმის შედგენა. (პროგრამული კოდი 03 06)

